

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ლევან კილაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2018 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გზით გავხდით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. ვარ საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - მრეწველების" წევრი, ასევე საკრებულოს ორი კომისიის _სივრცითი , ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის , აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების წევრი.

გასული წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს ოცი სხდომა, სადაც აქტიურად ვიყავი ჩართული სხვადასხვა დადგენილებებისა და განკარგულების მიღების პროცესში. ასევე აქტიურად ვმონაწილეობდი კომისიის სხდომებში.

ამ დროის განმავლობაში მელექედურის მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად გავუწიე შუამდგომლობა მერიის შესაბამის სამსახურებთან.

სოფლისთვის ჯერჯერობით გადაუჭრელ პრობლემად რჩება გაზიფიცირება და შიდა გზების კეთილმოწყობა. ასევე მდინარე ნატანებზე არსებული ქვა-ღორღის მომპოვებელი კარიერების სიმრავლე, რომელიც თითოეული მელექედურელის და ასევე ჩემი გულისტკივილია. მოსახლეობას ვპირდები, აქტიურად ვიქნები ჩართული ზემოთაღნიშნული საკითხების კანონის ფარგლებში მოგვარებაში.